90 წუთი უშედეგოდ

ერევნის "სპარტაკი" - თბილისის "დინამო"

ერევნის "სპარტაკს" ყოველთვის დიდი ინტერესით მოელიან თბილისელი ფეხბურთის მოყვარულები. იქნება ეს კალენდარული თუ ამხანაგური მატჩი მეზობელი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდთან, იგი ყოველთვის საინტერესო სანახაობას წარმოადგენს და ამიტომ იყო, რომ გასულ კვირას, 12 აპრილს თბილისის "ბურევესტნიკის" სტადიონის ტრიბუნები მთლიანად გაივსო მაყურებლებით.

თამაშობდნენ ერევნის "სპარტაკი" და თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობა. მატჩი დაიწყო. გავიდა 5 წუთი, 10, 20, 30, მაგრამ მაყურებელი ამაოდ ელოდა რაიმე საინტერესო კომბინაციას, კარში დარტყმას ან ბურთის გათამაშებას. მოსაწყენი, ერთფეროვანი თამაში მთელი ტაიმის განმავლობაში მინდვრის ცენტრში მიმდინარეობდა და ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ მოთამაშეები ურტყამდნენ და დასდევდნენ ბურთს ყოველგვარი გეგმისა და სისტემის გარეშე.

შედარებით გამოცოცხლდა თამაში მეორე ტაიმში. "დინამოს" თავდასხმის ცენტრში სალუქვაძე შეცვალა მელაშვილმა და შორი მანძილიდან რამდენიმე ძლიერი დარტყმით აიძულა მეკარე ზატიკიანი აეღო ძნელი ბურთები, დანარჩენი თავდამსხმელები კვლავ მინდვრის შუაში "საქმიანობდნენ" და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგის კარისათვის, გარდა ამისა, დაცვაში დაშვებულ იქნა რამდენიმე უხეში შეცდომა, რომელთა გამოყენება სრულიად თავისუფლად შეეძლოთ სპარტაკელებს.

ანგარიში 0:0 ყველაზე ნათლად გამოხატავს ამ უინტერესო, უფერული თამაშის შინაარსს.

14 აპრილი, 1959 წ.